



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87.87211881

თარიღი:07/07/2021

დადგენილება N9

„ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის N8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2021, 010250050.162.016544) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-8, მე-14-მე-16 ნაწილებით, 125⁴ და 135¹ მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე ამ წესის აღსრულების მიზნით ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ინფორმაცია ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში 2021 წლისთვის დაგეგმილი საპროექტო წინადადებების შესახებ (დანართი)

N	მუნიციპალიტეტი	2021 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	სულ პროექტის სავარაუდო ღირებულება	მათ შორის		შენიშვნა
					ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	სრიგპ-ის დაფინანსება	
1	ახმეტა	ქ. ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	გზა, პარკინგი და სავაჭრო ჯიხურები	300,000.0	3,000.0	297,000.0	
2	ახმეტა	ციხე-ქალაქ კვეტერის ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზება მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით	გზა, სველი წერტილები, საინფორმაციო დაფები	450,000.0	4,500.0	445,500.0	
3	ახმეტა	ორმუხის ბუნებრივი და ტურისტული პოტენციალის გამოყენების მიზნით გადასახედისა და მისასვლელი გზის მოწყობა	გზა, გადასახედისათვის საჭირო შენობა	480,000.0	4,800.0	475,200.0	
4	ახმეტა	ქ. ახმეტაში „წყაროების“ ტერიტორიის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების მომსახურებისათვის	ტერიტორიის კეთილმოწყობა, სველი წერტილები, საპიკნიკე ადგილები, ზაფხვთა მოიჯინები	1,200,000.0	12,000.0	1,188,000.0	
5	ახმეტა	ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთში „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	ტერიტორიის კეთილმოწყობა, საპიკნიკე ადგილები, სველი წერტილები	180,030.0	2,030.0	178,000.0	
		სულ ჯამი:		2,610,030	26,330	2,583,700	